# შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

თსაუ

## LLC TBILISI TEACHING UNIVERSITY

0112 თბილისი, ქ. ნინოშვილის ქ. №55
E. Ninoshvili st. N 55 0112 Tbilisi
0112 Тбилиси, ул. Е. Ниношвили №55
Web page: www.tbuniver.edu.ge
E-mail: tbuniver.edu@gmail.com
ტელ: +99532 2 969011
+99532 2 960104

„15" 09 2016 წ.

№ 505

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორს
ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N888 08.09.2016 წ.) საფუძველზე გიგზავნით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით შევსებულ სპეციალურ ანკეტა-კითხვარს.

იხ. დანართი 4 გვერდი.

პატივისცემით

რექტორი, ეკონომიკის დოქტორი ლევან ჯანგულაშვილი

GEORGIA. TBILISI TEACHING UNIVERSITY
ГРУЗИЯ. ООО ТБИЛИСКИЙ УЧЕБНЫЙ УНИВЕРСИТЕТ
თსაუ
211356414

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარი *დანართი*

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება | შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი |
| | იურიდიული მისამართი | ქ.თბილისი, ნინოშვილის ქუჩა 55 |
| | პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ.თბილისი, |
| | ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი) | tbuniver.edu@gmail.com (+995)32 2969011 |
| | ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, რექტორი ლევან ჯანგულაშვილი jangulashvili@gmail.com 514120012 |
| | საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - დავით გუბელაძე. 599 50 51 51. davidgubeladze14@yahoo.com |

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებლის მომზადების საგანმანანათლებლო პროგრამა |
| | პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება | ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა ( საბაზო და საშუალო საფეხური);გერმანული ენა ( საბაზო და საშუალო საფეხური) |
| | ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი) | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N98 28.07. 2015წელი |
| | პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა | 50 |
| | სწავლების ენა პროგრამის მიხედვით | ქართული |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებში | 60 |
| | მიზანი და სწავლის შედეგი * | იხილეთ დანართი |

**ინფორმაცია მოდულის შესახებ**

| № | პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით | ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით | სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით | დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა | ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა | აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური) | 22 | 1500 | 6 | ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); | ანალიტიკური წერა | |
| 2 | ინგლისური ენა ( საბაზო და საშუალო საფეხური) | 22 | 1500 | 6 | ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) | ანალიტიკური წერა | |
| 3 | გერმანული ენა ( საბაზო და საშუალო საფეხური) | 6 | 1500 | 2 | გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) | ანალიტიკური წერა | |
| 4 | | | | | | | |
| 5 | | | | | | | |

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი - რექტორი ლევან ჯანგულაშვილი

დანართი

## პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საბაზო და საშუალო საფეხურის სკოლის მასწავლებელი, რომლის მომზადების დონე შესაბამისობაში იქნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან. ის უნდა ფლობდეს არამარტო დარგობრივ ცოდნას, არამედ პედაგოგიური ციკლის საგნების ცოდნას და შეეძლოს შეძენილი ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება.

პროგრამა ეფუძნება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს და მიზნად ისახავს ხარისხიანი განათლების დამკვიდრებას.

## სწავლის შედეგები

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატი.

60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებია:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | - აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის (ინგლისური ენა, ქართული ენა, გერმანული ენა) ცოდნა;<br>- იცის საგნის/საგნობრივი ჯგუფის (ინგლისური ენა, ქართული ენა, გერმანული ენა) სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები;<br>- აქვს პედაგოგიკასა და დანათლების ფსიქოლოგიაში თეორიული ცოდნა;<br>- იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები;<br>- იცის სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ძირითადი პრინციპები;<br>- იცის, როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი;<br>- იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას;<br>- გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;<br>- იცის მასწავლებლის პროფესიული და საგნობრივი სტანდარტები;<br>- იცის, როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | - შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; |



ქანცელარია

2

| | |
|---|---|
| | - შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა მიღწევების ამაღლების მიზნით;<br>- შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა;<br>- შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;<br>- შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება;<br>- შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;<br>- აქვს მოსწავლეთა საჭიროების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი;<br>- აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის კვალიფიციური კონსულტაციის გაწევის უნარი.<br>- შეუძლია დამხმარე სამუშაო მასალის მოძიება და გამოყენება. |
| დასკვნის გაკეთების უნარი | - შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის შედეგების ანალიზი;<br>- შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება;<br>- შეუძლია სახელმძღვანელოების განხილვაში მონაწილეობის მიღება და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გადმოცემა. |
| კომუნიკაციის უნარი | - შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის სამეურვეო საბჭოს წევრებთან.<br>- აქვს ქართულ და უცხოურ ენაზე პროფესიული ლიტერატურის გაცნობისა და კოლეგებთან პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციის უნარი;<br>- შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია;<br>- აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი. |
| სწავლის უნარი | - აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი;<br>- შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. |
| ღირებულებები | - იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს |



3

| | |
|---|---|
| | მის შესაბამისად;<br>- ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას;<br>- აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი;<br>- აქვს მაღალზნეობრივი თვისებები, როგორიცაა: პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა, ობიექტურობა, სამართლიანობა, ჰუმანურობა, ზნეობრივი ქცევის უნარ–ჩვევები და ა.შ. |



შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი GEORGIA TBILISI TEACHING UNIVERSITY LLC კანცელარია 211356414 ООО ТБИЛИССКИЙ УЧЕБНЫЙ УНИВЕРСИТЕТ

4